დღეს გრენობლში ალიმპართეს ზამთრის X ოლიმპიური თამაშების ალამი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 25 (3509)

6 1968 წ. თებერვალი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ყველაფერი მზადაა...

გრენობლი, 5 თებერვალი. ოლიმპიადის ქალაქში ამჟამად მიმდინარეობს უკანასკნელი რეპეტიციები. დღეს ოლიმპიურ სოფელში აღმართეს სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი. ამ ცერემონიალამდე 1 საათით ადრე ჩვენმა ოლიმპიელებმა თავი მოიყარეს ტრადიციულ კრებაზე. მათ სიტყვით მიმართა საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. მაშინმა.

გრენობლში თოვლის ნასახიც არაა. სამაგიეროდ, თეთრადაა გადაპენტილი ოტრანი, შამრუსი და სხვ. ახალ სათხილამურო ბილიკებზე თავიანთი ძალა გამოსცადეს ჩვენმა მრბოლელებმა.

პირველი სტარტებისთვის ემზადებიან არა მარტო სპორტსმენები, არამედ ოლიმპიადის ორგანიზატორებიც. ბევრმა ჟურნალისტმა და სპორტის მოყვარულმა უკვე ნახა ოლიმპიური ცეცხლის ანთება. ეს მოხდა თამაშების საზეიმო გახსნის გენერალურ რეპეტიციაზე. აქ პირველად აჟღერდა „სადღესასწაულო მარში", რომელიც სპეციალურად დაიწერა ამ მოვლენისათვის. ერთადერთი ვინც ეს ვერ მოისმინა, იყო მუსიკის ავტორი ფრანგი კომპოზიტორი ჟან ბონდონი, რომელსაც სტადიონზე შესახვლელი საშვი სახლში დარჩენოდა და რასაკვირველია, სარბიელზე ვერ მოხვდა. ყველაფერი მშვენივრად ჩატარდა და თამაშების ორგანიზატორებს თამამად შეუძლიათ თქვან: „ყველაფერი მზადაა სპორტის ფესტივალის გახსნისთვის".

მსოფლიო ჩემპიონის უპირატესობით

სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის და მოსკოვის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების პირად-გუნდურმა სამატჩო ამხანაგურმა შეხვედრამ, რომელიც თბილისის განათლების განყოფილების მოსწავლეთა სპორტული სკოლის ტანვარჯიშულ დარბაზში ჩატარდა.

პირად ჩათვლაში შეჯიბრების მონაწილეებს უნდა შეესრულებინათ ერთი სავალდებულო ვარჯიში საგნით, ორი ნებისმიერი — საგნით და უსაგნოდ. სავალდებულო ვარჯიში კარგად შეასრულა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ე. როყვამ. მან 9,35 ქულა მოაგროვა და ჩამოიტოვა ცნობილი მოსკოველი ოსტატები: ლ. კრემერი, ნ. ერმოლაევა, ა. მიტიშინსკაია, ა. ბელოვა. 15 წლის მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ე. კარპუხინამ საბოლოოდ 9,7 ქულა დააგროვა და ხელთ იგდო ლიდერობა. მსოფლიო ჩემპიონს 0,2 ქულით ჩამორჩა სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სავინკოვა, სპორტის ოსტატი ნ. სალაძე III ადგილზე იყო 9,45 ქულით.

უსაგნოდ ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებაში მსოფლიო ჩემპიონებმა კვლავ მაღალი შეფასება დაიმსახურეს: კარპუხინამ 9,9, სავინკოვამ 9,8 ქულა. დ. თორაძის „ქართული ცეკვა" მაღალ სპორტულ დონეზე შესრულა სალაძემ, რომელმაც უმაღლესი შეფასება — 10 ქულა მიიღო, ორი სახეობის შემდეგ 1,5 ქულით გაუსწრო სავინკოვას და II ადგილზე გადაინაცვლა.

საგნით ვარჯიშში კვლავ კარპუხინამ გამოიჩინა თავი. მან 10 ქულა მიიღო და საერთო ჯამში 29,6 ქულით I ადგილი დაისაკუთრა. სავინკოვამ აქ 0,2 ქულით აჯობა სალაძეს და საბოლოო ჯამში 0,05 ქულით ჩამოიტოვა თბილისელი მეტოქე, რომელიც III ადგილზე დარჩა.

უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა თბილისელი ოსტატების ე. როყვას, ნ. რევაზიშვილისა და ლ. ავანესოვას წარმატება. მათი მაჩვენებლები ოსტატობის შედეგს აღემატება.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ი. იუნაევი.

* * *

სურათზე: ზევით (მარცხნიდან) — ე. როყვა, ლ. სავინკოვა და ვ. კარპუხინა საუბრობენ შესვენებისას.

ფოტო ავტორისა.

✦ გულმავიწყი კომპოზიტორი ჟან ბონდონი.

✦ ნორვეგიელები?

✦ არ დაწყებულა და უკვე 105 მ.

✦ 11 წლის ოლიმპიელი.

◆ **გრენობლი, 5 თებერვალი.** ცნობილია ჰოკეისტთა ყველა გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. სსრ კავშირის, შვეიცის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ-სა და ფინეთის ნაკრებს შეეერთდნენ გდრ-ისა და გფრ-ის სპორტსმენები. პირველებმა შესარჩევ ტურნირში დაამარცხეს ნორვეგიელები — 3 : 1, დასავლეთგერმანელებმა — რუმინელები — 7 : 0. ჰოკეისტთა ოლიმპიური ტურნირის პირველ მატჩში ჩვენი გუნდის მეტოქეა ფინეთის ნაკრები, რომელმაც შესარჩევ მატჩში ძლია იუგოსლავიას — 11 : 2. ფიგურული სრიალის რუმინელი ოსტატი ბეატრიჩე ხუსტუ ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნებაა. იგი ახალგაზრდა ოლიმპიელია, შეიძლება ყველაზე უმცროსი, ზამთრის ყველა ოლიმპიადის მონაწილეთაგან. ბეატრიჩე 11 წლის და 5 თვისაა. სპორტის ამ სახეობაში იგი 5 წლიდან ვარჯიშობს.

◆ **სენ-ნიზიე,** 5 თებერვალი. **90-მეტრიან ოლიმპიურ ტრამპლინზე გამოსვლის პირველსავე ცდაზე, სახელმოხვეჭილი ნორვეგიელი სპორტსმენი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბ. ვირკოლა 105 მეტრზე გადახტა.**

◆ ოტრანი, 5 თებერვალი. ნორვეგიელი მოთხილამურეები ზამთრის X ოლიმპიური ბატალიების ფავორიტები არიან. ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა ეს დღესაც დაამტკიცეს, როცა ბოლო ვარჯიშზე შესანიშნავი შედეგები აჩვენეს. მათ შემდეგ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ ფინელებს, რომელთაც სათავეში უდგას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ე. მიახტიურანტა. III ადგილს „აკუთვნებენ" შვედებს, IV — ჩვენს მოთხილამურეებს. 8 კმ-ზე საწვრთნელ შეჯიბრებაში ჩვენმა მოთხილამურე ქალებმა აჩვენეს ასეთი შედეგები: გ. კულაკოვა — 28.04, ა. სმირნოვა — 28.46, ა. კოლჩინა — 28.50, რ. აჩკინა — 29.09,6, ნ. შებალინა — 29 25.



თბილისელები ფინალში

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ „ბურევესტნიკის" წყლბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში სტუდენტთა ზამთრის არადადგების პრიზზე თბილისელებმა მოუგეს მინსკელ თანაკლუბელებს. ახლა დავსძენთ, რომ მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს მიშაშვილმა, მეტრეველმა, უშანგიშვილმა (2).

კვირას თბილისელები ლვოველებს შესვდნენ. პირველ პერიოდში სტუმრების კარში ბურთი გაიტანა ლვოველმა. მეორე პერიოდში მეტოქეები აქტიურად თამაშობდნენ: ბურთი ოთხჯერ შეეხო ბადეს. აქედან 2 ბურთის ავტორები არიან თბილისელები უშანგიშვილი და კურტანიძე. III პერიოდში მეტოქეთა იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო როცა თამაშის დამთავრებას ცოტაღა უკლდა, თბილისელმა სეროფინამ დააგვირგვინა მასპინძელთა გამარჯვება — 4:2.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პერმი — კიევი 1:4, მინსკი — ალმა-ათა 5:3, ტაშკენტი — ლენინგრადი 8:5, მოსკოვი — ფრუნზე 13:1.

ორშაბათს დილით ჯგუფებში გაიმართა ბოლო მატჩები: პერმი — ფრუნზე — 2:4, მინსკი — ლვოვი — 6:3.

გუშინ...

საღამოს ჩატარდა დანარჩენი 3 მატჩი. მოსკოველებმა სძლიეს კიეველებს — 5:1, ლენინგრადელებმა — ვოლგოგრადელებს — 4:0, თბილისელებმა — ალმა-ათელებს — 4 : 1.

ამრიგად, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ტაშკენტელებმა, კიეველებმა, მოსკოველებმა, თბილისელებმა, მინსკელებმა და ლენინგრადელებმა. დანარჩენი გუნდები VII-XI ადგილებს გაითამაშებენ.

სურათზე: თბილისისა და ლვოვის გუნდების მატჩის მომენტი.

ფოტო ვ. ზარგარიანისა.



ოლიმპიური გრენობლი ღამით.

ოლიმპიური ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგ

6 თებერვალი:

თამაშეგის გახსნის ცერემონია.

ჰოკეი (გრენობლი).

7 თებერვალი:

ფიგურული სრიალი. ქალები. სავალდებულო პროგრამა (გრენობლი).

თხილამურები. ვაუები. რბოლა 30 კილომეტრზე (ოტრანი).

ბობსლეი (ალპ დ'იუეზი).

ჰოკეი (გრენობლი).

თხილამურები. ვაუები. სწრაფდაშვება (შამრუსი).

8 თებერვალი:

ფიგურული სრიალი. ქალები. სავალდებულო პროგრამა (გრენობლი).

მარხილებით დაშვება (ვილარ დე ლანი).

თხილამურები. ვაუები. სწრაფდაშვება (შამრუსი).

ბობსლეი (ალპ დ'იუეზი).

ჰოკეი (გრენობლი).

9 თებერვალი:

თხილამურები. ქალები. რბოლა 10 კილომეტრზე (ოტრანი).

ციგურები. ქალები. რბენა 500 მეტრზე (გრენობლი).

ჰოკეი (გრენობლი).

თხილამურები. სწრაფდაშვება (ქალები).

10 თებერვალი:

თხილამურები. ვაუები. რბოლა 15 კილომეტრზე (ოტრანი).

თხილამურები. ქალები. სწრაფდაშვება (შამრუსი).

ციგურები. ქალები. რბენა 1.500 მეტრზე (გრენობლი).

როგორ აიღეს სტარ

ერთი შეხედვით ყველაფერი ძალიან უბრალოდ მოხდა: შეიკრიბნენ სპორტის ენთუზიასტები და ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ ოლიმპიური თამაშები გაემართათ.

დიახ, ერთი შეხედვით ასე იყო. 1894 წლის 16 ივნისს სორბონის საქტო დარბაზში შეიკრიბნენ პატივცემული ადამიანები, რომლებიც პარიზში ჩამოვიდნენ მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის, რუსეთიდანაც. შეურბილო გადაწყვეტეს ავეორძინებინათ ძველ ელინთა სასახელო ტრადიციები. გადაწყდა, რომ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები გაემართათ 2 წლის შემდეგ საბერძნეთში, ქვეყანაში, სადაც ათასეული წლის წინათ ძალის, სილამაზისა და მშვიდობის საზეიმო დღესასწაულზე ქვეყნის უძლიერესი ათლეტები იყრიდნენ თავს.

მაგრამ ოლიმპიური თამაშების აღორძინების იდეა სორბონის კონგრესის მოწვევამდე წარმოიშვა. სპორტისთვის თავდადებულნი ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში იძლოდნენ წინადადებას, რომ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებები გამართულიყო. ოლიმპიურმა იდეებმა განსაკუთრებით მრავალეულ ფეხი 1887 წლის შემდეგ, როცა ოლიმპიის უძველეს მიწაზე წერაქვითა და ნიჩბით შეიარაღებული ადამიანები მოვიდნენ. ესენი მეცნიერები, გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილენი იყვნენ. დიდხანს და მონდომებით თხრიდნენ მიწას, ვიდრე მარმარილოს კოლონების ნამტვრევებს არ წააწყდნენ. აქვე ნახეს ქამისგან ფერშეცვლილი ბრინჯაოს ქანდაკებები გმირებისა, რომელთა სახელებიც ქუხდა ძველ მსოფლიოში. გათხრების დროს ნახეს ჭვისა და ბრინჯაოს ბადრონები, შუბის ნატეხები, ბერძენთა საბრძოლო ფარები.

არქეოლოგთა მონაპოვარს ავსებდა ძველ ისტორიკოსთა და პოეტთა ნაწარმოებებიდან ამოკრებილი ცნობები.

XIX საუკუნის ადამიანებმა თანდათან გაიგეს, როგორ ცხოვრობდნენ ძველი ელინები, როგორ იბრძოლნენ გამარჯვებისთვის და მხიარულობდნენ თავიანთ უდიდეს ზეიმზე — ოლიმპიურ თამაშებზე და რაც უფრო მეტს გებულობდნენ, რაც უფრო მეტ აღმოჩენას აკეთებდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, მით უფრო ძლიერი იყო სურვილი, რომ აღედგინათ მშვიდობისა და მეგობრობის ზეიმი, მისი ჩვეულებები და ტრადიციები.



მაგრამ იმ დროს ეს კეთილშობილური მიზანი ბევრს საკმაოდ თავისებურად წარმოედგინა. ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე სერიოზულად ამტკიცებდა: ოლიმპიურ თამაშები მხოლოდ იმიტომ უნდა აღვადგინოთ, რომ მათი საშუალებით მოსახლეობა ცხოვრების სიდუსტირეზე ფიქრს ავარიდოთო. სხვები ფიქრობდნენ, რომ ასეთი დიდი სპორტული შეჯიბრებებისთვის მზადება მათ ქვეყნებს ძლიერ და ამტან მეომართა გაზრდაში დაეხმარებოდა. სამედნიეროდ, ოლიმპიური მოძრაობის სათავეში იდგნენ ადამიანები, რომელთა შეხედულებები დიდად განსხვავდებოდა ოფიციალური პირების აზრებისგან. მათ შორის იყო პიერ დე კუბერტენიც, უმჭველად ღირსი შთამომავლობის მადლობისა. ამ შესანიშნავ ადამიანზე ღირს დაწვრილებით ლაპარაკი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კუბერტენმა პედაგოგობას მიჰყო ხელი. იგი ერთი იმათგანი იყო, ვინც სათავეში მოექცა საფრანგეთის სპორტული მოძრაობას. მისი სახელი ფართოდ გახდა ცნობილი. კუბერტენი აირჩიეს საფრანგეთის სპორტულ საზოგადოებათა კავშირის გენერალურ მდივნად. საფრანგეთის მთავრობამ მას დაავალა გასცნობოდა ფიზიკური აღზრდის სისტემას სხვადასხვა ქვეყანაში. კუბერტენმა ყველა სახელმწიფოში დაგზავნა წერილები სათანადო შეკითხვებით, ხოლო შემდეგ თვითონაც გაემგზავრა საზღვარგარეთ. როცა საკმაო მასალა დაგროვდა, კუბერტენი ყურადღებით გაეცნო მას და ასეთ დასკვნამდე მივიდა: ათლეტიკა — ასე ეძახდნენ იმ დროს სპორტის ყველა სახეობას, — ყოველწლიურად სულ უფრო ეცემა. რა ვიღონოთ ამის საწინააღმდეგოდ?

კუბერტენმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სპორტული კლუბები ხშირად მტრობდნენ ერთმანეთს. ტანმოვარჯიშეები დაობდნენ ნიჩბოსნებთან, ნიჩბოსნები — მოფარიკაველებთან, მოფარიკაველები — ჩოგბურთელებთან. თვითეული თავის სახეობას თვლიდა უკეთესად. კუბერტენი თავისი დროის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ქვეყნების სპორტსმენები უნდა გაერთიანდნენ, ხოლო შემდეგ ყველა ერთ ორგანიზაციაში უნდა შეკიდეს.

— რატომ არ უნდა მოვიქცეთ ძველი ელინებივით, რომლებიც 4 წელიწადში ერთხელ ოლიმპიურ თამაშებზე იკრიბებოდნენ? მსოფლიოს ხალხებში უნდა აღვადგინოთ თავისუფლების სული, მშვიდობიანი შეჯიბრებისა და ფიზიკური სრულყოფის სურვილი, — ამბობდა კუბერტენი.

ეს — ზოგიერთობა სხვადასხვა ქვეყანაში, მეფეებსა და მმართველებს არწმუნებდა, რომ მხარი დაეჭირათ მისი იდეისთვის და ოლიმპიურ მოძრაობას დახმარებოდნენ. 1894 წელს კუბერტენის წინადადებით მოიწვიეს საერთაშორისო სპორტული კონგრესი.

იმ დროს თითქმის არ არსებობდა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრების მოწყობა შეეძლო. პირველი ეროვნული სპორტული გაერთიანებები — ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია და მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირი მხოლოდ 1892 წელს შეიქმნა. და მაინც, ნაბიჯი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის შექმნისკენ გადადგმული იყო. იმ მიზნით, რომ ოლიმპიური მოძრაობა ყველა ქვეყანაში გაშლილიყო, კონგრესზე გადაწყდა შეექმნათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელსაც პიერ დე კუბერტენი ჩაუდგა სათავეში. მისი სტატუტები: „დიდია გამარჯვების პატივი, მაგრამ უფრო დიდია ბრძოლის პატივი", — ოლიმპიურ დევიზად იქცა.

ამრიგად, პირველი ოლიმპიადის მასპინძლად საბერძნეთი აირჩიეს. მაგრამ წარმოიშვა სერიოზული დაბრკოლებაც: ოლიმპიადის გამართვისთვის საბერძნეთს სახსრები არ აღმოაჩნდა. კუბერტენი სასწრაფოდ გაემგზავრა ათენს და მეფესთან აუდიენციას მიაღწია. იგი გავლენიან პირებს არწმუნებდა ამ საქმის დიდ მნიშვნელობაში და მოახერხა საჭირო თანხის შეგროვების ორგანიზაცია. კერძო შემოწირულებებიდან რეკონსტრუქცია გაუკეთდა ათენის მარმარილოს სტადიონს.

1896 წლის აპრილის დამდეგს პირველი ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ გაიხსნა. თუმცა შეჯიბრება შეზღუდული პროგრამით ჩატარდა. ახლა ჩვენ 150-ზე მეტ ოლიმპიურ სახეობას ვითვლით, მაშინ კი სტარტზე გამოვიდნენ მხოლოდ მძლეოსნები. ჩოგბურთელები, მოციგურავეები, ტანმოვარჯიშეები, კლასიკური სტილით მოჭიდავეები, ძალოსნები, ველოსიპედისტები, მსროლელები და ნიჩბოსნები. არ არსებობდა შეჯიბრებისა და მსაჯობის ერთიანი წესები. სპორტული შედეგებიც ძალიან მოკრძალებული იყო — ახლა ამ შედეგებს თანრიგოსანი მოსწავლეებიც გაუსჯობესებდნენ. და მაინც ოლიმპიადა მსოფლიო სპორტის უდიდესი მიღწევა გახლდათ. სწორედ მაშინ გაჩნდა მსოფლიო რეკორდების პირველი ცხრილები, გაჩნდნენ პირველი ჩემპიონები და რეკორდსმენები.

ასე წარმოიშვა ზაფხულის პირველი ოლიმპიური თამაშები.

— ჩვენ რით ვართ ნაკლები? რატომ ჩვენც არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ხალხთა სპორტულ ზეიმში? — განაცხადეს სპორტის ზამთრის სახეობების წარმომადგენლებმა, — მოთხილამურეებმა და მოციგურავეებმა, — ჩვენც ხომ შეგვიძლია გავმართოთ ოლიმპიადები ზამთარში?

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოულოდნელად ოლიმპიურ თამაშებზე უარი განაცხადეს შვედებმა და ნორვეგიელებმა.

ეს მით უფრო საოცარი იყო, რომ ამ ორ ხალხს შესანიშნავი მოთხილამურეები და მოციგურავეები ჰყავდა. რატომ გაილაშქრეს ასე გადაჭრით ზამთრის ოლიმპიადის წინააღმდეგ? საქმე ისაა, რომ სკანდინავიის ქვეყნებში ტარდება ეგრეთ წოდებული „ჩრდილოეთის თამაშები". ესაა ზამთრის სახალისო შეჯიბრებები. სპორტსმენები ასპარეზობენ სათხილამურო რბოლაში, ციგურაობაში, ირემშებმული მარხილებით რბოლაში. სკანდინავიელები ამაყობენ ამ თამაშებით და მას თავიანთი ეროვნულ სპორტულ ზეიმად თვლიან.

— ბერძნებმა, — ამბობდნენ ისინი, — ოლიმპიური თამაშები დააარსეს, ჩვენ კი ჩვენი ჩრდილოეთის თამაშები გვაქვს და არავის დავუთმობთ მათ.

აქ საქმეში ჩაერია ისევ პიერ დე



ექსკურსია ოლიმ

ლოზანაში, მონრეპოს პარკის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში წამოჭიმულია სამსართულიანი შენობა-სასახლე, სადაც გენიალური ვოლტერი თავის წარმოდგენებს დგამდა. დღეს აქ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბია და უნიკალური ოლიმპიური მუზეუმი, რომელიც მილიონობით ტურისტს იზიდავს.

მუზეუმის შესასვლელში ჰკიდია თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის ვეებერთელა პორტრეტი. და ვინაიდან, როგორც ჩანს, შენობის დათვალიერება სწორედ კუბერტენის სამუშაო კაბინეტიდან იწყება, ჩვენც გავყვეთ იმპროვიზებული ექსკურსიის მონაწილეებს, ვნახოთ რა ისტორიული სიმდიდრე იმალება სასახლის ურიცხვ ოთახებში...

საინტერესო, კოლორიტული პიროვნება იყო პიერ დე კუბერტენი. არისტოკრატიული და ძველთაძველი გვარის წარმომადგენელმა უარი თქვა სახელმწიფო მოღვაწის კარიერაზე და ახალგაზრდობაშივე დაეწაფა სპორტს. იგი გატაცებული იყო ფარიკაობით, კრივით, ნიჩბოსნობით, ტანვარჯიშით, ცხენოსნობით, ჭრონდა მრავალი ჯილდო სხვადასხვა შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში არასდროს გამოსულა.

კუბერტენის ოთახში ინახება მის მიერ დაწერილი წიგნები, ხაფარიკაო ჩაფხუტი და რაპირა, რომელსაც იგი ხმარობდა, ეგრეთვე, კრივის ხელთათმანები და უამრავი თასი, მედალი, ეუტონი, ისევ თასები...

ვეებერთელა დარბაზები ასახავენ ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. ცალცალკე ფოტოსურათები დამჯერებლად მოგვითხრობს ოლიმპიადების ისტორიაზე, მათ განვითარებაზე.

მუზეუმის ერთი ოთახი დათმობილი აქვს იშვიათ ფოტოსურათებს. აქ არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრის ანჯელო ბო-

...ების ...რამა

...ორშაბათი. ტრამპლინიდან ხტომა (ოტრანი).
...ფიგურული სრიალი. ქალები. ...ებისმიერი პროგრამა (გრენობ...).
...მარხილებით დაშვება (ვილარ ...ლანი).
...ოკეი (გრენობლი).

11 თებერვალი:

...ორშაბათი. სათხილამურო რბო... 15 კილომეტრზე (ოტრანი).
...ციგურები. ქალები. რბენა 1000 ...ტრზე (გრენობლი).
...თხილამურები. ვაუები. გიგან...ური სლალომი (შამრუსი).
...თხილამურები. ხტომა მცირე ...ტრამპლინიდან (ოტრანი).
...ფიგურული სრიალი. წყვილე... ...ავალდებულო პროგრამა (გრე...ობლი).
...ოკეი (გრენობლი).

12 თებერვალი:

...თხილამურები. ბიატლონი. რბო... 20 კილომეტრზე (ოტრანი).
...ციგურები. ქალები. რბენა 3.000 ...ეტრზე (გრენობლი).
...თხილამურები. ვაუები. გიგან...ური სლალომი (შამრუსი).
...მარხილებით დაშვება (ვილარ ...ლანი).
...ოკეი (გრენობლი).

13 თებერვალი:

...ფიგურული სრიალი. ვაუები. ...ავალდებულო პროგრამა (გრენობ...).
...თხილამურები. ქალები. რბოლა ...კილომეტრზე (ოტრანი).
...თხილამურები. ქალები. სპეცია...ური სლალომი (შამრუსი).
...ოკეი (გრენობლი).

14 თებერვალი:

ფიგურული სრიალი. ვაუები. ხავალდებულო პროგრამა (გრენობლი).
თხილამურები. ვაუები. ესტაფეტა 4×10 კმ (ოტრანი).
ციგურები. ვაუები. რბენა 500 მეტრზე (გრენობლი).
თხილამურები. ვაუები. სპეციალური სლალომი (შამრუსი).
ფიგურული სრიალი. წყვილები. ხავალდებულო პროგრამა (გრენობლი).
ბოგზლეი (ალპ დ'იუეზი).
ჰოკეი (გრენობლი).

15 თებერვალი:

თხილამურები. ბიატლონი. ესტაფეტა 4×7,5 კილომეტრზე (ოტრანი).
ციგურები. ვაუები. რბენა 5.000 მეტრზე (გრენობლი).
თხილამურები. ქალები. გიგანტური სლალომი (შამრუსი).
ბოგზლეი (ალპ დ'იუეზი).
მარხილებით დაშვება (ვილარ დე ლანი).
ჰოკეი (გრენობლი).

16 თებერვალი:

ციგურები. ვაუები. რბენა 1.500 მეტრზე (გრენობლი).
თხილამურები. ქალები. ესტაფეტა 3×5 კილომეტრზე (ოტრანი).
თხილამურები. ვაუები. სპეციალური სლალომი (შამრუსი).
ჰოკეი (გრენობლი).
ფიგურული სრიალი. ვაუები. ნებისმიერი პროგრამა (გრენობლი).

17 თებერვალი:

ციგურები. ვაუები. რბენა 10.000 მეტრზე (გრენობლი).
თხილამურები. ვაუები. რბოლა 50 კილომეტრზე (ოტრანი).
თხილამურები. ვაუები. სპეციალური სლალომი (შამრუსი).

18 თებერვალი:

ჰოკეი (გრენობლი).
თხილამურები. ხტომა დიდი ტრამპლინიდან (სენ-ნიზიე).
თამაშების დახურვის ცერემონია (გრენობლი).

...ეგი...

...ურტენი. იგი ბეჯითად და მოთმინე... ...ურჩევდა სკანდინავიელებს, ოლიმ...ური თამაშების წინააღმდეგი ნუ იქნე...ო.

— ...ეურწმუნეთ, — ამბობდა იგი, — ...ენ არაფერს დაკარგავთ, თუ მოთხი...ურნები და მოციგურავეები ზამთრის ...ლიო ზეიმზე შეიკრიბებიან. მოგე...ეკ ბევრს მოიგებთ. სათხილამურო ...ფიგულის ბილიკებზე ბევრი სპორტ...ი ვერ გაგიწევთ მეტოქეობას. გარ...ნეთ, რომ თქვენ ვერგებათ ოქროსა ...ერცხლის ყველა მედალი.

...სკანდინავიელები დათანხმდნენ, მა... საერთაშორისო ოლიმპიურ კომი...ერთი აუცილებელი პირობა წაუ...: ზამთრის თამაშების სახელწოდე...არ უნდა ყოფილიყო სიტყვა ...ოლიმპიური". შეჯიბრებისთვის ასეთი ...ელი უნდა დაერქმიათ: „ზამთრის ...ამები". ამაზე შეთანხმდნენ.

...1924 წლის იანვარში საფრანგეთის ...ბის პატარა საკურორტო ქალაქ ...ში გაიხსნა ზამთრის პირველი ...ები. ასპარეზობდნენ 16 ქვეყნის ...ტსმენები. გათამამდა ოქროს 14 ...ელი სათხილამურო სპორტში, ციგუ...ში, ფიგურულ სრიალსა და ...ში.

...თხილამურო სპორტში თითქმის ...და პირველი ადგილი ნორვეგიელებმა მოიგეს, ხოლო ციგურაობაში — ფინელებმა. ჰოკეისტთა ტურნირში, როგორც მოსალოდნელი იყო, კანადელებმა გაიმარჯვეს. ტყუილად როდი თვლიან მათ ქვეყანას ჰოკეის სამშობლოდ.

ზამთრის თამაშები მეორედ გაიმართა 4 წლის შემდეგ შვეიცარიის მთიან სოფელ სენ-მორიცში. ამჯერად შეჯიბრების სახელწოდებაში კაჩნდა სიტყვა ოლიმპიური. შემდეგი თამაშები ჩატარდა ლეიკ-პლესიდში (აშშ), გარმიშ-პარტენკირჩენში (გერმანია), კლავ სენ-მორიცი, ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო, იტალიის თვალწარმტაცი სამთო კურორტი კორტინა დ'ამპეცო, სკვოველი (აშშ), ინსბრუკი (ავსტრია) და ბოლოს სტარტზეა — გრენობლი.

ყველას გვახსოვს საბჭოთა ოლიმპიელთა ბრწყინვალე წარმატებები. გვახსოვს პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონის ლ. კოზირევას შესანიშნავი სტარტები, მსოფლიოს უძლიერესი სპრინტერის ე. გრიშინის, ლ. სკობლიკოვას ტრიუმფი, განუმეორებელი ფიგურისტების ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვის მრავალი გამარჯვება. ახლა ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიკითხოთ: ვინაა შემდეგი? გვჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის ახალი სპორტული ვარსკვლავები გრენობლის დათოვლილ მწვერვალებზე სპორტული დიდების უმაღლეს საფეხურზე ავლენ.

ა. სვეტოვი.



6 თებერვალი

1. თამაშების საზეიმო გახსნა — 18 ს;
2. ჰოკეი — ჩეხოსლოვაკია — აშშ, 20 ს. 30 წ;
სხრ კავშირი — ფინეთი, 24 ს.

ამ დღეს ცისფერ ეკრანებზე:

1. თამაშების საზეიმო გახსნას — 18 საათიდან;
2. სხრ კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტთა მატჩს — 24 საათიდან.

საკავშირო რადიოთი გადაიცემა:

1. თამაშების საზეიმო გახსნა (მთლიანად);
2. სხრ კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტთა მატჩი (ბოლო პერიოდი). დამის 1 საათსა და 35 წუთიდან.

შენიშვნა: დრო ი.ბილისისაა.





ერთ თვეზე მეტია, რაც ბერძენმა ქალიშვილმა ტრადიციისამებრ ოლიმპოს მთაზე აანთო ცეცხლი და იგი პირველ მეჩირაღდნეს — თანამემამულე მძლეოსანს გადასცა. ჩირაღდანმა გაიარა საბერძნეთი, ავსტრია, გერმანია, შვეიცარია და პარიზში, ორლის აეროდრომზე დაეშვა. აქ იგი სკვო-ველის თამაშების ჩემპიონმა ჟან ვუარნეტმა მიიღო, შემდეგ საფრანგეთის 41 დეპარტამენტის 170 ქალაქი შემოიარა და დღეს გრენობლში ელიან. რამდენიმე საათის შემდეგ აქ, თამაშების საზეიმო გახსნაზე აგიზგიზდება ოლიმპიური ცეცხლი.

* * *

ხურათებზე: ზევით — ბერძენი ქალიშვილი ცეცხლს პირველ მეჩირაღდნეს გადასცემს; ქვევით — ცერემონიალი ორლის აეროდრომზე.

...ურ მუზეუმში

...ანკისადმი მიძღვნილი სტენდი, რომელიც 1896-1902 წ. წ. რამდენიმე ...ოფლიო რეკორდის ავტორი იყო. მარათონულ რბენაში პირველი ...ლიმპიური ჩემპიონის სპიროს ლუისის უიშვიათესი ფოტოსურათები, ...რეთვე 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადის გმირის ჯესი ოუენსის, ...ეგენდარული ფინელის პაავო ნურმის, ემილ ზატოპეკისა და სხვათა ...ეფდები. ამ დარბაზში შეხვდებით ლარისა ლატინინას, ვლადიმერ ...ცს, ბორის შახლინის, ანბებე ბიკილას, ვილმა რუდოლფის... ფოტო...ურათებს.

...ემდეგ გადავდივართ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბიბ...ოთეკაში, სადაც მისი შეფი, დოქტორი ვეესლერი გვთავაზობს უნი...ალურ ექსპონატს — პირველ ოლიმპიურ ალამს. ალამი დამზადდა პა...ეზში, 1913 წელს კუბერტენის ინიციატივით და პირველად ანტვერპენ...ი 1920 წელს აფრიალდა.

...პორტული პრიზების ოთახში ნახავთ გარდამავალ თასებს, რომლი...ც უნინ გამოჩენილ სპორტსმენებს აჯილდოვებდნენ. მათ შორისაა ...კოლოზ II მიერ დაწესებული ვერცხლის თასი, ფარი, რომელიც ოლიმ...ურ კომიტეტს ვილჰელმ II გადასცა, ავსტრიის მონარქის ფრანც იოსე...ს მიერ ნაბოძები თასი და სხვ.

...ეტად საინტერესო და მარავალრიცხოვანი ექსპოზიცია მთავრდება ...ენობლისა და მეხიკოს ლამაზი აფიშებით და 1972 წლის საპოროს ...ამთრისა და მიუნპენის ზაფხულის ოლიმპიადების ემბლემებით.

* * *

...ურათებზე: მარცხნივ — პიერ დე კუბერტენის სამუშაო ოთა...ი, მარჯვნივ — თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის ...ფარიკაო ინვენტარი.

V საერთაშორისო

ტრადიციის გაგრძელება! — მხოლოდ ასე შეიძლება ითქვას საქართველოს ქალთა V საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც მაისში მოეწყობა. ტრადიცია კი ასე დაიწყო:

50-იან წლებში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტში, რომელსაც გამოცდილი მწვრთნელი ვ. ქარსელაძე თავგადაცობდა, შეიქმნა ნიჭიერ მოჭადრაკე გოგონათა წრე. უკვე 1953 წელს აქ აღზრდილი ე. კაკაბაძე სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობს. ერთი წლის შემდეგ წრემ კვლავ „იბარტყა“ — მ. ტოგონიძემ ლენინგრადში მოიპოვა სსრ კავშირის პირველი ჩემპიონის სახელი მოჭადრაკე გოგონათა შორის. განვლო კიდევ ორმა წელმა და 15 წლის ნ. გაფრინდაშვილმა მთელი საჭადრაკო სამყარო აალაპარაკა.

შემდეგ წლებში საქართველოს მოჭადრაკე ქალთა „კვარტეტს“ — ნ. გაფრინდაშვილს, მ. ტოგონიძეს, ე. კაკაბაძესა და ა. ჩაიკოვსკაიას თითქმის მუდამ ვხვდებით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლისთვის მებრძოლთა შორის. ისინი წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი მონდომებითა და დაჟინებით უტევდნენ საჭადრაკო მწვერვალებს და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევდნენ.

სწორედ მაშინ გაჩნდა თბილისში ქალთა საერთაშორისო ტურნირის გამართვის იდეა.

და აი, 1960 წლის მაისში, თბილისში მოეწყო I საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათგან ნახევარი უცხოელები იყვნენ. I პრიზი დაისაკუთრა ლენინგრადელმა ლ. ვოლპერტმა, II — ნ. გაფრინდაშვილმა, III — მ. ტოგონიძემ.

1961 წლის გაზაფხულზე II ტურნირში (თბილისი — ბათუმი) 15 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათგან 7 მომზეა სოციალისტური ქვეყნიდან. ამჯერად ბრძოლა საქართველოს მოჭადრაკეთა ტრიუმფით დამთავრდა: I. ნ. გაფრინდაშვილი, II. ა. ჩაიკოვსკაია, III. ე. კაკაბაძე (კოეფიციენტთა ცხრილით). ამ წარმატებისათვის ჩაიკოვსკაიასა და კაკაბაძეს, ისე როგორც წინა წელს მ. ტოგონიძეს, სპორტის ოსტატი წოდება მიენიჭათ. შემდგომ ფიდე-მ ჩაიკოვსკაიას საერთაშორისო ოსტატის წოდებაც მიანიჭა.

1962 წელს თბილისსა და სოხუმში ჩატარდა III ტრადიციული ტურნირი. ეს შეჯიბრება ნ. გაფრინდაშვილისთვის ე. ბიკოვასთან მატჩის პრელუდია იყო. ტურნირი საინტერესო გახლდათ იმითაც, რომ მასში მსოფლიო ჩემპიონის მომავალმა მეტოქემ ა. კუშნირმაც ითამაშა.

I პრიზი დაუმარცხებლად მოიხვეჭა ნ. გაფრინდაშვილმა — 11 ქულა 13-დან. II იყო ა. კუშნირი (10,5), III. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) — 9,5.

IV საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 1964 წელს სოხუმში. მის 12 მონაწილეს შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი და ამ უმაღლესი ტიტულის 5 პრეტენდენტი — ე. ბიკოვა, მ. რანიკუ, ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია), ე. კარაკაში (უნგრეთი) და მ. ტეოდორესკუ (რუმინეთი). ტურნირის ახალგაზდა გახლდათ 14 წლის ნ. ალექსანდრია.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ნ. გაფრინდაშვილის თამაშმა. მან 3 ქულით ჩამოიტოვა II ადგილზე გასული ა. ჩაიკოვსკაია. მსოფლიო ჩემპიონმა 11 შეხვედრიდან 9 მოიგო და 2 ყაიმით დასრულა.

და აი, გავიდა ოთხი წელი. ამ ხნის მანძილზე ქართულ ჭადრაკს დიდება შემატეს ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. ალექსანდრიამ. სარბიელზე გამოჩნდა ნიჭიერი თაობა, რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს ჩემპიონმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ც. კახაბრიშვილმა სსრ კავშირის ჩემპიონატშიც ითამაშა.

ჩვენმა ჭადრაკის ფედერაციამ V საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ მოიწვია გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი ოსტატები: ტ. ზატულოვსკაია (ბაკო), კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი), იუგოსლავიელი მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი, ბულგარელი ა. ივანოვა, რუმინელი ა. ნიკოლაუ, ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ი. მალიპეტროვა, ა. იუტა (გდრ) და უნგრელი ლ. შადაი. თუ ამათგან რომელიმე უცხოელმა მოჭადრაკემ ჩამოსვლა ვერ შეძლო, მაშინ გვიწვევენ ინგლისელი რ. ბრიუსი ან ჰოლანდიელი კ. ვრეკენი.

მასპინძლებიდან მიწვეულნი არიან ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ა. ჩაიკოვსკაია, ე. კაკაბაძე და ც. კახაბრიშვილი.

თ. გიორგაძე.

ლიდერის მარცხიანი გასვლა

ჩვენი ვიზიტიორები

რიგა (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ „დაუგავას“ სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები ადგილობრივ ვეფ-სა და თბილისის „ბურევესტნიკს“ შორის.

პირველ შეხვედრაში, რომელიც 3 თებერვალს გაიმართა, უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. ლატვიელებმა ვერაფერი მოუხერხეს „ბურევესტნიკის“ ცენტრალურ თავდამსხმელს ს კოვალენკოს და ამან გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი ჯერ კიდევ I ტაიმში, რომელიც სტუმრებმა 10 ქულის უპირატესობით მოიგეს (40:30). შესვენების შემდეგ სტუდენტებმა ინიციატივა შეინარჩუნეს და საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს — 72:63.

მეორე დღეს ვეფ-ი რევანშის რწმენით გამოვიდა. როგორც ჩანს, მან სწორი ანალიზი გაუკეთა წინა დღის მარცხს და საწადელსაც მიაღწია. რიგელებმა მოიგეს შეხვედრა — 74:61.

მოსკოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საკავშირო ჩემპიონატის ლიდერმა ასკ-მ, ბოლოსდაბოლოს დატოვა საკუთარი ქალაქი და სათამაშოდ მოსკოვს ეწვია. აქ, მისი მეტოქე იყო სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ცსკა. მატჩი გაიმართა არმიელთა სპორტულ დარბაზში, საკმაოდ მცირერიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით და, როგორც ჩანს, ისინი, ვინც ამ დღეს უარი თქვეს კალათბურთზე, არ შემცდარან: საკმაოდ უინტერესო თამაშში, რაც ანგარიშსაც ეტყობა, მოსკოველები დამარცხდნენ — 46:57.

მეორე დღეს ჩემპიონმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ლიდერისთვის ქულა წაერთმია. მოსკოველებმა საწადელს მიაღწიეს და კიევის ასკ-მ სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი დამარცხება ჩაიწერა — 59:62.

ბაკო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ადგილობრივი „ბურევესტნიკისა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელთა მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 81:80. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში უპირატესობას ბაკოელები ფლობდნენ, მაგრამ ანგარიშის შესაცვლელად მათ დრო არ ეყოთ.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	18	13	5	1242—1180	13
„დინამო“ (თბილისი)	18	12	6	1319—1234	12
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	18	12	6	1342—1247	12
„სტროიტელი“ (კიევი)	16	11	5	1064—1021	11
ცსკა	18	11	7	1117—1064	11
ვეფ (რიგა)	22	11	11	1603—1566	11
„კალევი“ (ტარტუ)	18	10	8	1191—1165	10
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	17	9	8	1226—1186	9
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	16	7	9	1020—1024	7
ასკ (რიგა)	18	7	11	1302—1320	7
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	16	3	13	1124—1273	3
„ბურევესტნიკი“ (ბაკო)	19	1	18	1316—1586	1

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

აი, რა მოხდა რიგაში

რიგაში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის I წრე. ჩვენი გაზეთის ბოლო ნომერში დაიბეჭდა გათამაშების ცხრილი, რომელიც გუნდების დღევანდელი სიძლიერის ნათელ სურათს იძლევა, მაგრამ „ლელოს“ მკითხველებს აინტერესებთ არა მარტო I წრის საბოლოო შედეგები, არამედ ისიც, თუ როგორ დამთავრდა რიგის ტურის მატჩები, ვინ გამოიჩინა თავი და ვინ დათმო წინანდელი პოზიციები. ჩვენი დღევანდელი სტატისტიკური ექსკურსიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

რიგის ტურის მატჩებში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი პირველ რიგში მასპინძლებმა გამოიჩინეს, მაგრამ ტტტ-ს წარმატებას ნუ დავაბრალებთ საკუთარი კედლების უპირატესობას. ლატვიელებს საამისო არაფერი სჭირთ. ეს გუნდი მრავალი წლის მანძილზე იყო და რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ (შესაძლოა ერთადერთ) უძლიერეს საკლუბო კოლექტივად. ტტტ-მ რიგაში ყველა 6 მატჩი მოიგო ბურთების ჩინებული სხვაობით 417—283.

პირველი წრის ბოლო ტურში 5 ქულა აიღო ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“. ამ წარმატებამ ლენინგრადელები საბოლოო ჯამში ლიდერთა სამეულში შეიყვანა. სამაგიეროდ შედარებით უიღბლო გამოდგა რიგა მოსკოვის ოლქის სპარტაკელთათვის, რომლებიც პირველი ეტაპის შემდეგ ლატვიელთა მსგავსად, უდანაკარგოდ ლიდერობდნენ ჩემპიონატს. „სპარტაკმა“ რიგაში 2 ქულა დაკარგა და ადრინდელი ბალანსი მხოლოდ 4 ახალი ქულით გაამდიდრა.

ამდენივე ქულა დააგროვეს ვილნიუსის „ჟიბირკშტისსა“, სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ და მოსკოვის „დინამომ“. ვილნიუსელთა მაჩვენებელი მაინცდამაინც არ არის გასაკვირი, რადგან ბოლო წლებში ეს გუნდი დაჟინებით მიიწევს წინ. სამაგიეროდ, სვერდლოვსკელებს და განსაკუთრებით, მოსკოველებს მისალოცად აქვთ საქმე. „დინამოს“ პირველი ეტაპის შემდეგ მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა და აუტსაიდერთა შორის იყო. ახლა მან სატურნირო ცხრილის შუაში გადაინაცვლა. სვერდლოვსკელები კი რიგაში დიდხანს დაუმარცხებლად იბრძოდნენ და ბოლო ორ ტურში წაგება რომ არა, ალბათ მთავარი სენსაციის ავტორები გახდებოდნენ.

მოულოდნელი გამოდგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა „მოსწრება“. გუნდმა, რომელიც I ეტაპის მაჩვენებლებით III ადგილს ინარჩუნებდა, რიგაში ორად-ორი ქულა აიღო, იმდენი. რამდენიც უკვე აღიარებულმა აუტსაიდერებმა — ლენინგრადის არმიელებმა, კიევისა და ნოვოსიბირსკის დინამოელებმა. სხვათა შორის, ჩვენს გუნდს ბოლო ჩემპიონატებში ასეთი ცუდი მაჩვენებლები არ ჰქონია.

გათამაშების ცხრილი

(მხოლოდ რიგის ტურის მიხედვით)

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.	
ტტტ (რიგა)	6	6	0	417—283	6	(11)
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)	6	5	1	319—301	5	(8)
„სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი)	6	4	2	338—343	4	(9)
„ჟიბირკშტისი“ (ვილნიუსი)	6	4	2	365—311	4	(7)
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	6	4	2	359—338	4	(6)
„დინამო“ (მოსკოვი)	6	4	2	367—308	4	(5)
სპი (თბილისი)	6	2	4	376—381	2	(6)
„დინამო“ (კიევი)	6	2	4	309—358	2	(3)
„დინამო“ (ნოვოსიბირსკი)	6	2	4	298—352	2	(4)
ასკ (ლენინგრადი)	6	2	4	318—350	2	(2)
„ტექსტილმაში“ (ტაშკენტი)	6	1	5	354—511	1	(3)
„პოლიტექნიკა“ (კაუნასი)	6	0	6	328—371	0	(2)

შენიშვნა: ფრჩხილებში აღნიშნულია პირველი წრის შემდეგ გუნდების მიერ დაგროვილ ქულათა რაოდენობა (ორი ეტაპის ჯამში).

22-დან 22

კადიევკასა და დნეპროპეტროვსკში გაიმართა სსრ კავშირის „ა“ კლასის ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატის XI ტური. ამით დამთავრდა ჩემპიონატის მორიგი ეტაპი.

XI ტურის შედეგები ასეთია:

კადიევკა. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „დაუგავა“ (რიგა) 3:1, „ბურევესტნიკი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ირკუტსკი) 3:2, „ბურევესტნიკი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მინსკი) 3:2.

დნეპროპეტროვსკი. „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ხარკოვი) 3:0, ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 3:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ნეფტიანიკი“ (ბაკო) 3:1.

გათამაშების მომდევნო ეტაპის წინ სატურნირო ცხრილში I ადგილი უჭავიათ არმიელებს. მათ 22 შესაძლებლიდან 22 ქულა დააგროვეს. მომდევნო ადგილებზე ქულათა თანაბარი რაოდენობით (19-19) არიან მოსკოვის „ლოკომოტივი“, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ და ირკუტსკის „სპარტაკი“.

ა. მეტრეველი II ადგილზე

სკანდინავიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ა. მეტრეველმა დაამარცხა გფრ-ის ღია ჩემპიონატში ახლახან გამარჯვებული ი. ელ შაფეი (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა) — 5:7, 6:3, 6:4. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ავერეთვა დანიის უძლიერესმა ჩოგბურთელმა ი. ლუშლემ, რომელმაც თავის მხრივ ნახევარფინალში დაამარცხა ინგლისელი მ. კოქსი — 6:3, 6:2. მეტად დაძაბული გამოდგა ფინალური შეხვედრა, სადაც საბოლოო გამარჯვება ი. ლუშლის დარჩა — 4:6, 12:10, 6:3, 6:4. ამგვარად, მეტრეველი II ადგილს დასჯერდა.

ქალთა ერთეულებში I ადგილი წილად ხვდა ინგლისელ ჯ. უილიამსს. ვაჟთა წყვილებში პირველობა მოიპოვეს შვედებმა — ბენგსტონმა და ანდერსონმა. ქალთა წყვილებში უძლიერესები იყვნენ ვ. უეიდი და ჯ. უილიამსი (ორივე — ინგლისი). საბჭოთა ჩოგბურთელი ქალები გ. ბაკშევა და ა. დმიტრიევა II ადგილზე გავიდნენ.



იაპონიაში შეიქმნა ახალი ორიგინალური მანქანა ჰაერის ბალიშით, რომელიც შეიძლება გამოიყენო მოასფალტებულ გზებზე, ქვიშაზე, წყალზე. მანქანა საათში 30-50 კილომეტრს ავითარებს. მისი სიგრძე 2,6 მეტრია, წონა — 140 კილოგრამი. მანქანას აქვს ორი ძრავა, თვითეული 4 ცხენის ძალისა.

სურათზე: ახალი მანქანები დისტანციაზე.

ფოტო „ჯაპან-ილიუსტრეიტედ“-ისა.

სიეტლის სექტორებზე

სსრ კავშირის მძლეოსნების ერთი ჯგუფი უკვე ეწვია აშშ-ს და ქალაქ სიეტლის დარბაზში გამართულ შეჯიბრებაში გამოსცადა ძალა. სტუმრებს ბრწყინვალე მაჩვენებლები არ მოუპოვებიათ, მაგრამ შედეგებით მაინც კმაყოფილნი უნდა იყვნენ. ხარკოველმა გ. ბლიზნეცოვმა და ტალინელმა ტ. ლეპიკმა პირველობა მოიხვეჭეს. ბლიზნეცოვი ეროით ხტომაში 488 სანტიმეტრ სიმაღლეს გადაევლო, ლეპიკმა კი სიგრძეზე ხტომა მოიგო — 758 სმ.

მოსკოველი სტუდენტის ვ. გავრილოვისა და ამერიკელ ჯ. ფოსბიურის დეული სიმაღლეზე ხტომაში მასპინძლის გამარჯვებით დამთავრდა. მან 216 სმ დაძლია, გავრილოვმა 8 სმ-ით წააგო, მაგრამ II ადგილი მაინც დაინარჩუნა. ლენინგრადელი ო. რაიკოც მეორე იყო, ოღონდ 2 მალზე რბენაში, სადაც პირველობა ცნობილ ამერიკელ სტაიერს ჯ. ლინგრენს ერგო.

ყველაზე სწრაფი ყინულის ბილიკი

დავოსში გამართულ მოციგურეთა საერთაშორისო ტურნირში ტ. სიდორენკოს მიერ 500 მეტრზე რბოლაში ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარების შესახებ უკვე ვწერდით. ახლა დავუმატებთ, რომ ამ შეჯიბრებაში კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაიბადა და მისი ავტორი მსოფლიოს ჩემპიონი ს. კაიზერია, რომელმაც 3000 მეტრზე 4 წუთი და 54,6 წამი აჩვენა. ეს 2,3 წამით ჯობია მისსავე მსოფლიო მიღწევას.

აქვე, ვაჟთა ასპარეზობაში თავი ისახელა 500 მეტრზე ახალი მსოფლიო რეკორდის ავტორმა ე. კელერმა (გფრ). მან ამჟამადაც ბრწყინვალე შედეგი (39,4) აჩვენა. ირკუტსკელმა ს. სილიანინმა 5.000 მეტრი 7.31,6 წამში გაირბინა და 3,2 წამით გაუმჯობესა ა. ანტსონის საკავშირო რეკორდი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ოზურგეთის სპორტულ ბაზაზე

წყალბურთი. საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის დახურული აუზი (ვაკე). 6—8 თებერვალი. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ზამთრის არდადეგების პრიზზე. შეხვედრების დასაწყისი 10 ს. და 18 ს. 8—10 თებერვალი. საერთაშორისო შეხვედრები თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“, საქართველოს ნაკრებისა და იტალიის „ლერიჩი სპორტის“ მონაწილეობით. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 უე 03942